ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/12

CPV 79600000

CPV 79611000 - სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული მომსახურებები

ქ. თბილისი 05 მარტი 2018 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი უფროსის მოადგილე **მაია სიმონიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ჯობს.გე"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **ალექსანდრე ხუბულავას** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი . შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიმწოდებლის ვებ-გვერდზე ვაკანსიასთან დაკავშირებული ლოგოტიპიანი განცხადების განთავსების მომსახურება CPV 79600000.

1.2. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი განახორციელებს შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნებას ვებ-გვერდზე - **www.jobs.ge**

1.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურებების გაწევას შემსყიდველის კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს: **500.00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

2.2. მომსახურების გაწევის ტარიფები მოცემულია ხელშეკრულების დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

2.5. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან აგაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

2.6. დაფინანსების წყარო: **2018 წლის საკუთარი სახსრები.**

მუხლი 3. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

4.2 შემსყიდველის ყოველი მოთხოვნა განხორციელდება წერილობით, მიმწოდებლის ოფიციალურ ვებ გვერდზე - www.jobs.ge.

მუხლი 5. ხელშეკრულების ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
5.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - **მარიამ იმედაძე.**
5.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - **მარიამ იმედაძე.**

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა უნაკლოდ, თუკი მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი.
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.5. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.7. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.3. ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 10. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს).

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ განათლების მართვის	შპს ,, ჯობს.გე“
საინფორმაციო სისტემა	ს/კ 205 035 282
ს.კ. 205300048	მის.: თბილისი , ატენის ქ. N20 31
მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1ა	სს „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ანგარიშის ნომერი: GE23 TB06 0000 0107 4671 23
უფროსის მოადგილე	დირექტორი
მაია სიმონიძე _____ ბ.ა.	**ალექსანდრე ხუბულავა** _____ ბ.ა.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა 205300048

შპს ,,ჯობს.გე“ jobs.ge 205035282

2018 წლის 05 მარტის N02/12 ხელშეკრულების დანართი

#	დასახელება	ღირებულება
1	სტანდარტული განცხადება	30,00
2	ლოგოტიპიანი სტანდარტული განცხადება	50,00
3	2-ზე მეტი ვაკანსია ერთ ლოგოტიპიან განცხადებაში	70,00
4	4-ზე მეტი ვაკანსია ერთ ლოგოტიპიან განცხადებაში	110,00
5	6-ზე მეტი ვაკანსია ერთ ლოგოტიპიან განცხადებაში	150,00
6	10-ზე მეტი ვაკანსია ერთ ლოგოტიპიან განცხადებაში	190,00
7	15-ზე მეტი ვაკანსია ერთ ლოგოტიპიან განცხადებაში	220,00

შემსყიდველი
სსიპ განათლების მართვის
საინფორმაციო სისტემა
ს.კ. 205300048
მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1ა

მიმწოდებელი
შპს „ ჯობს.გე“
ს/კ 205 035 282
მის.: თბილისი , ატენის ქ. N20 31
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE23 TB06 0000 0107 4671 23

უფროსის მოადგილე

მაია სიმონიძე _____ ბ.ა.

დირექტორი

ალექსანდრე ხუბულავა _____ ბ.ა.

შპს ჯობს.გე
jobs.ge
205035282